



სამსხლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი:
 წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ ცალკე წემური ერთი შაური. **დაგაბამით 7 კ.** წლიური ხელის მოწერლებს ვაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

განცხადების ფასი:
 ჩვეულებრივი სტრატეგია 15 კ., უკანასკნელი 10 კ. სხვა აღილებიდან ვაკანსიის გარეშე მიღებულ განცხადებთა ფასი: სტრატეგია პეტრი ტრეტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლობალური განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაწილნაწილად 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

ჩემდამი და კანტორა იმუშავებთ თბილისის ქ. კნ. მიძინაძის სახლში

№ 490 უოველდღიური სამოღირო იყო და სალიტერატურო გაზეთი. № 490

პარასკევს, 18 ნოემბერს, ღამით გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი
თ-დი ალექსანდრე ტარიელის მე მიქელამე,
 რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს შეუძლებს მისი კნ. თებროლოე კონსტანტინე ასული მიქელამისა, ვაჟი შეიღებოთ თ-დნი ბესარიონი და დავითი ალექსანდრეს ძენი და ასული კნინა ნინო ალექსანდრეს ასული მიქელამენი. პანაშვილები დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 22 ნოემბერს დილის 12 საათზე სოფ. კულაში საგარეულო ეკლესიის გალავანში.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი
 ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,
კ ა ბ მ შ უ რ ნ ა ლ ი მიმდინარე ამბები
საცოდავი, სამხედრო, საავადმყოფოში მოკვდა
 ძლიერი ღრამა 4 მწ.
საუბათისო შოვა ძვირის მკვამი
 სახუმარო.

ანონსი: ორშაბათიდან 21 ნოემბრიდან ასლი პროგრამა **სიკამითის მისის უზილი მირაფი**
 სანახაბა: ნამდვილიდან
გაზაფხულში ბავშვთა კინო-ილუსტრაციის ცნობილ რომანისისა კარა მასოვისა და ბენეტის მიწვევებით.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 21.
 ო რ შ ა ბ ა თ ი, 21 ნ ო ე მ ბ ე რ ი 1916 წ.
 ა. სუშათაშვილი:

ლ ა ლ ა ტ ი

ნ მ. თარგმ. ყიდვითისა
მონაწილენი: ქ.ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხვიძე ან., ჩხვიძე ნ., ბ.ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშვილი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გ., რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანამ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია. აღმასმენი დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ექიმმა ალექსანდრე მამიძის მე
ანათიანთა განასაღა ავადმყოფების მიღება (ქაღურ, ჭყურთუღ და შინაგან) ავადმყოფებისა უოველდღე დიდის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე მუშაობისა და ბალანსის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ექიმი მ. მარშალიძე ქალაქის საავადმყოფოს ორთონატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სხილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესმა „606“ და „914“) დღით 12¹/₂—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშვილის ქუჩა, ალბერგოვის სახ. ტელეფონი № 135.

გამოცდილი სტუდენტები
 მოწვევებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს გვარული საფიცრო მოწვევებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თბილისის ქ. № 35 მიქელამის სახლში, მეორე სართულზე, ვაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

მეგობრები
 მოწვევებს ყველა კლასებისათვის. პირობების გაგება შეიძლება უოველდღე-ივანოვის ქ. სახ. ე. კილიანის. შესავალი ვაზ. „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

მამიძე ა და სხვის სამკურნალო კაბინეტი
გარეანტ. გალანჩივაძისა.
 ვეურნაე მისავით, საქმიან ვარჯიშობით. ესპობასსეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორბულს, მეტსაწითელს, ხეფავიფებს და უოველდღე სხის ავადმყოფობას, ამასთან უცხა უვადსე და აგრეთვე **ნამდვილად შარბმ** თავზე კანის ქერდეს, ასე ქეტერს ჩემქანე ასად გამავანად წამლის საშუალებით. ქეტერის მისამართს შეუძევთ სრულად ადარ ტენდებსა და იღებს სისამოენ ფერს და სირბილეს.

ავადმყოფები მიღება დიდის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რეუვა და დარბებსათი შური. მისამართი: დადიანის შესახევი, გ. გოსტავს სახლები. № 37.
 304—1—თავით.

ექიმი გამორილ იოსების მე **მომიძე** დარბონდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კამბერტი. სიზაგანი ბუფონისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

გაგია მ. მ. აიხარაძე
 უტრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავთომყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს ალექსანდრეის ქუჩა, სე. თეოდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღახის ბინიდან.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი
 ხუთშაბათიდან, 17 ნოემბრიდან,
კ ა ბ მ შ უ რ ნ ა ლ ი
 მსოფლიო ამბები

სიკვდილის ხევენა
 ღრამა 5 ნაწ. პროლოგით.
ანონსი და ა ბ მ შ უ რ ნ ა ლ ი ძლიერ სახუმარო.
ანონსი: ორშაბათიდან 21 ნოემბრიდან სუვეეთის პროგრამა **ფრინველთა სამეფოს წარმოშობა და მათი ცხოვრება** (ბ რ ტ მ ე ლ ფ ე ს ი ა ნ ა მ ა ი)
 სანახაბა, ფერადებით.
ოჯახის ბედნიერება კინო პიესა 4 ნაწ. ლ ტოლსტოის მოთხრობის აზრის მიდევნებით ორდოვისა და გედიკის მოწაწ.
ბ შ უ ი ლ ი უ ი უ ი სახუმარო.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავადი დ. ო. ნიქარაძე ამით აცხადებს, რომ კვირას 20 ნოემბერს ამა 1916 წ. დილის 10 საათზე დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბ. თავადაზნაურთა არა ჩვეულებრივი

ქ რ ე შ ა

რომელზედაც განხილული იქნება გერმანელთა ქვეყნდომთაგან მარგანეციან მიწების შექმნისა და სხვა საკითხები. (2—2)

ნ. ბარათაშვილი.
 სამშაბათს, 22 ნოემბერს, შესრულდება ასი წელიწადი, მის შემდეგ, რაც ქართულ სიტყვა-კაზმულობას მოკვლინა პირველი მერცხალი, მხარობელი საქართველოს გამოფხიზლებისა, აღორძინებისა და აყვავებისა.
 ამ დღეს დაიბადა დიდი მგოსანი ნ. ბარათაშვილი.
 ჩვენა გვერნი, ილარ არის ახლა ისეთი წერაკითხვის მკოდნე ქართველი, რომ არ გაეგონოს ბარათაშვილის სახელი და არა გრძობდეს მის ძალას, მის მნიშვნელობას ქართული მწერლობისათვის.

უმწეო და შებენლმა მღვთმარებამ!
 იმ დროს „ბედი ქართლისა“ ახლად გადაწყვეტილი იყო. საქართველო გადმოვარდა თავის ისტორიულ გზიდან და „ვიტა ოპოლმა“ თავი შეაფარა უცხო სახელმწიფოს ქართველი ხალხი მოსწყდა მშობლიურ კერას: ძველი წავრთვა, ახლასაც ვეღარ შეეთვისა და „ცასა და დედამიწას შუა დავიკულ“
 თვით ქართველი ხალხი—მისი მოწინავე წოდება მაინც,—დადგა ვადგვარების გზაზე და საშინელ თავ-დავიწყებას მიეცა...

მაგრამ ეს არის მხოლოდ დღეს, საქართველოს ბედის გადატვირთვით ასი წლის შემდეგ, როცა საქართველომ, დააღწია თავი სიღათას ძილს და, ავით თუ კარგად, უკვე შესდგა გათვითცნობიერების გზაზე.
 ამ ასი წლის წინადაც, ქართველობამ არ იცოდა, რომ მედიტონ ბარათაშვილის სახლში იზრდებოდა მომავალი სიამავე ქართულის პოეზიისა. არ იცნობდენ ნიკოს სიჭაბუკის დროსაც, არ იცნობდენ მას მაშინაც კი, როცა ცეცხლის შერქვეველ მოთსავით აყენებდა გრძობითა და აზრით სავეს ლექსებს და სამაზრო სამართველოს მოხევე—უაზრო ქალაღების გადაწერას ანდომებდეს საუვეეთისა დროს...
 იმ დროს არც სტამბენი იყო, არც ეურნალ-გაზეთები, არც მაინც და მაინც დიდი ტრფიალი ქართული საქეებისადმი და „ობოლი ობლომაში გაზღილი“ მარტოდ მარტო იმდეროდ, მარტოდ მარტო ეძლევედა „ტრფობის ნაშის“ მარტოდ მარტო მისდევდა ფიქრით თავისს მერანს და სურდა მარტოდ მარტოვე მომკვდა რიყო უცხო მხარეს, უცხოთა შორის, რომ სტრფოსაც კი არ დეტერინა იგი!

გაუჭირდა ხალხს ცხოვრება. სამშობლოს ცა და სამშობლოს მიწა შავი ღრუბლებითა და ჯანლით დაიბურა.
 სუნთქვა გაძნელდა, სიცოცხლე გამწარდა!
 აი ამ დროის შვილია ნიკო ბარათაშვილი, ამ ჯანდა და ბურუსში დაიბადა იგი მართლაც დიდი ნიჭისა და გულისთქმის პატრონი უნდა ყოფილიყო ის ქართველი, რომელი ქართველიც ამ დროს გზას გაიკვლევდა და უვეეთისს შქადაგებულდ მოველინებოდა ქვეყნას
 ასეთი პირველ ქართველად გამოდგა ნიკო ბარათაშვილი მან თავის გულთამბილობით თავის ნიქით, თავისის მკვეთრის სიტყვით ფრთა შეაქრა სამშობლოს წყვილადს და იმდის სხივით დაიწყო კიაფი ბნელით მოკულ სამშობლოს არემარებე.

რამ ჩაავდო ბარათაშვილი ამ სასოწარკვეთილებაში? ცხოვრების მაშინდელმა ზერელობამ, საქართველოს მაშინდელმა

ნ. ბარათაშვილმა პირველმა იგრძნო სვედა და ბირველმავე დაქვენესა ამ სვედის ხმაზე.

ხმა მისი გლოვის ზარით გაისმა მის თანამედროვეთა შორის, რომლებიც ვხაკველ ანეულებდნ მისცემოდენ პირად სიამოვნებას და თავ დაეაწყებოთ გასძახოდენ „პარიზალიე—თარილიარეს!..“

დიად, სვედიანი და თითქოს უნუგეშო იყო ბარათაშვილის ჰანგი, მაგრამ ამ სვედაში იყო სწორედ ჩამარბული დიდი იმედის საქართველოს მომავლის შესახებ.
 „ცულად ხომ მაინც არ ჩავილის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალოა შენგან თელილი მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო“.

ნალვლიანის ხმით, მაგრამ მტკიცედ შეძლადიდებდა ბარათაშვილი თავის მერანს, თავის ფიქრებს, თავის გულის თქმას, თავის ბედის ვარსკვლავს და მართლაც ცულათ არ ჩაუვლია ბარათაშვილის გულის ტკივილს
 ქართველმა ვრმა იგრძნო მისი გულის ტკივილი, დევამ მისი გულისამ უნაოფოდ არ ჩაიარა და დღეს ქართულ მწერლობას თამამად შეუძლია სთქვას: მე უკვე ავანთე ცეცხლი სამშობლოს საკურთხეველზე და ვისაც გინდათ ვადამიანება, ვისაც გწყურებთ სიცოცხლე, სიცოცხლე შესმენილ და თავისუფალი მოდი ჩემთან და მიიღეთ მადლი ქვეყნის სამსახურისთვისო. პირველი ქურუმი, პირველი მგოსანი, რომელმაც დაანთო ეს ცეცხლი და გული თავის დასლა სამშობლოს საკურთხეველზე დასადნობათა და მადლის დასათესათ—არის ნ. ბარათაშვილი.

მისმა დაბადებამ-ამ ასი წლის წინადა-ანთო პირველი სანთელი იმ ტაძარში, რომელსაც მამულის სიყვარული ჰქვია და მისი სახელის განსენება ასი წლის შემდეგ—იმ დროს, როცა მთელი მსოფლიო განახლებას მოეღოს, დაანთებს უფრო დიდსა და უტყუარ იმედს, რომ ჩვენი ტურფა ქვეყანა, ეს „დიდი საშოთხის კუთხე პატარა“ კვლავ შესდგება თავის ბუნებრივ განვითარების გზაზე, ვინაღდან ნ. ბარათაშვილის სამშობლოს სიკვდილს თვით განგებდ არ მოინდომებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი.
 ნ. ბარათაშვილი—ეს მეცბრამეტე საუვეთის, ჩვენი უდიდებულესი პოეტი დაიბადა 1816 წ. 22 ნოემბერს ქ. თბილისში. იგი იყო თბილი. მისრის მარშალის თავადის მელიტონ ბარათაშვილის შვილი დედა მისი იყო თავ. დიმიტრი ორბელიანის ასული და დიდი პოეტის გრ. ორელიანისა. შვიდი წლისა მშობლებმა მიიბარეს თბილისის კალოუანის სამეფლო სკოლაში შემდეგ გადოევენეს კეთილშობილთა სასწავლებელ პანსიონში, რომელიც 1830 წ. გადაკეთეს გამზახათ. იქ სწავლობდა კარგათ და გაათავა კიდევ. შემდეგ, ვინაიდან უმალეს სასწავლებელში ვერ შევიდა უსახრობისა გამო და ვერ განწესდა ვერც სამხედრო სამსახურში, რადგან ბავშობისას ფეხი მოიტეხა და კოჭლი იყო, დამორჩილდა ბედს და სვედა სამოქალაქო სამსახურში, რაშიაც მან მიიღწია მისრის უფროსის თანაშემწეობამდე. ამ თანამეობობას, 1844 წ. ასრულებდა იგი ნახევენში. 1845 წ. გადოევენეს განჯაში, სადაც გახდა ავით და იმავე წლის 9 ნოემბერს გარდაიკვალა უკოლშვილო 29 წ. დაასფლავეს განჯაშივე. 1893 წ. 25 აპრილს კი დიდებულნი პოეტის ნეშთი ქართველმა საზოგადოებამ დიდის ამბით გადმოსვენა ქ. თბილისში და დაკრძალა დიდუბის ეკლესიის გალავანში და დაუდგა მას შესავარი ძეგლი.
 ნ. ბარათაშვილი, როგორც დიდებულნი პოეტი და სოცარი პიროვნება, ოლიმპის სიმაღლეზე მაღლა სდგას, არამც თუ თავის დროის ქართველ პოეტებზე, არა-



მედ ახლანდელგზავდა. მისი გენიოსური, ტიტანიური სულის კვეთება იმოდენად დაიდა და მომხიბვლელია, რომ ჩვენ მას ვერ შევადარებთ ვერც ერთ ქართველ პოეტს. აი, ამიტომაც, არც ერთ ქართველ პოეტზე არ დაწერია და თქმული იმდენი რამ, რაც დაწერა და თქვა მან. მას შეეხებენ: ილი. ქვეციციანი, ნ. ნიკოლაძე, თუ ანაოვი, იონა მუხომარაძე, პრაფ. ალ. (ვაგარდელი, მის. ვეზირიშვილი, „მეველე“, „პაატა“, „სანდალა“ (სხეველინიშვილი) ზ. ქვიციანი, ხომლედი, კიტა აბაშიძე, ვ. წ., განნარძი, ივ. გამართელი, გრ. რო-ბაქიძე, ილი ფერაძე, სპ. კელიძე და სხვა. მისი ლექსები თითქმის სულ გადათარგმნილია რუსულ და გერმანულ ენებზე. ქართულთა გამოცემა თუ არ ეცდებით ათეულობა. ნ. ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობა ჩვენს ლიტერატურაში დიდი და, რადგან ის გენიოსური, მოუხვეწარი, მუდამ მშფოთავი სული, რომელიც სუფევს კაცობრიობაში და მიყვას იგი საუკეთესო მომ-ვლისაკენ, მოკლეთ ეს საკაცობრიო სულის კეთება ქართველ ერში XIX საუკუნეში ბარათაშვილის პოეზიაში გამოი სახა. მას ში გამოიჭვივის პატრიოტიზმი — ამ სიტყვის უარესი მნიშვნელობით, ზნეობრივი სტაბილიზმი, ფილოსოფიური კითხვები და პესიმიზმი, რაიცა ნაშრომები თვისება უმაღლესი ცივილიზაციისკენ მიწრაფების ქართველთა ერმა მეცხრამეტე საუკუნეში კაცობრიობას მისცა ეს ერთადერთი გენიოსი პოეტი, რომელიც თავისი უკვლავი ჩანგის სიმებით შეეხო მის ისეთ მწვევე გრძობებს და კითხვებს, რომლებმაც მარად და მარადის იქნება მოცული კულტურული იდამიანის გული და გონება.

მას ასხენდება, რომ მამულს ამაგი მიუძღვის მისდამი. მამულსადაც ნ. ბარათაშვილის ფილოსოფია ისეთია, რომ მან, როდესაც მისი აღმზრდელი ქვეციანი გაქვირებაში, მას ნება არა აქვს თავი გაარდოს მის უბედურებას: მას ღრმად სწამს, რომ გაუბედურებულ სამშობლოს მისი შვილი კი არ უნდა გაქვდეს და სადმე სხვაგან და სხვა რამეში ნახოს თავდავიწყება, არამედ მოალოდინე დაუბრუნდეს ისევ სამშობლოს და მისი ბედის შემსუბუქებას ეცადოს. ეს გარემოება ჩვენ ნებას გვაძლევს ნ. ბარათაშვილი არამც თუ მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოშიც საუკეთესო მამულიშვილად ჩავთვალოდ. მართლაც მეტისმეტი ძლიერი ნებისყოფისა და დიდ სულის პატრონი უნდა იყოს კაცი, რომ მამულს, როდესაც იგი სულიერად უკვე სულ სხვა სამყაროში

დაუბრუნდეს ქვეციანს და მის სიღუბეპირისთან საბრძოლველად მოემზადოს, სამშობლოს რეალური საჭიროებანი შეეგნოს და მის ბედის გაზიარებას შეუდგეს. მით უმეტეს დიდა ამ ცვლილების ფასი, რომ დღეს, მეოცე საუკუნეში, როდესაც უკვე 100 წელიწადია გასული, რაც სამავალითო მამულიშვილმა სთქვა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა გმსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის“ არა იზრუნოსო“, — ისეთი პირნიც, რომელნიც სულის განწირულებით ნ. ბარათაშვილის ფეხის ფერფლადაც არა ღირან, ოცნებით სადაც დასცურავენ, ჰაეროვან კოშკებს აგებენ, წუთით სულს იმშვიდებენ და სოფლად მტკიცებენ, სოფლისთვის არა ზრუნავენ!

დაე მოვედოე შე უპატრონოდ მისგან ოპორტი ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერმა! გასწი, მერანო, შენს ტენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

კულად ხომ მინც არა ჩაივლის ეს განწირულის სული ქვეციანისა და გზა უფალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მინც დარჩება, და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე ვნისა გაუადვილდეს, და შეუბოგრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუჭროლდეს!

მირბის, მიმფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანო, უკან მომხვევის თვალ ბედითი შავი ყორანი! გასწი, მერანო, შენს ტენებას არ აქვს სამძღვარი და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

ნიკოლოზ ბარათაშვილი და საფორალის სიყვარული.

ნ. ბარათაშვილი საუკეთესო მგოსანი მამულიშვილია. მისი მამულისადმი სიყვარული და სამშობლოს უბედურებით დამწუხრება იმ წერტილამდის აღწევს რა წერტილამდისაც არც ერთ არაბე თუ ქართველს, არამედ მსოფლიო მწერლის სამშობლოს უბედურ ბედის მიერ გამოწვეულ წუხილსაც ა მთელსა მთელსა.

ეს გრძობის გოლიათია, რომლის ამონაკნებები სიძლიერით მხოლოდ ოლიმპიელ ლეოპოლდო მანგებს მოგვაგონებენ, უარყოფს ამ ქვეციანურ ცხოვრებას, გაურბის ცხოვრების კლანჭებს. ელტვის რაღაც გაუგებარს ხე ქვეციანურ, მსოფლიოს კიდეთა იქით მყოფ რაღაც სამყაროს; მიიღტვის ამ ქვეციანიდან ოლონდ კი არ დარჩეს ამ ქვეციანდ.

ასეთია ბარათაშვილის სული. იგი ვერ ურიგდება აწმყას, წარსული ბნელით არის მოცული, მხოლოდ მომავალში უიმედობას და ხედავს.

იგი სთმობს დედას, ნათესავთ, მეგობართ, სატრფოსაც კი, რომლის გულისთვის ხშირად მთელი სახელმწიფოები განადგურებულა და ამ ქვეციანის შვილებს სიამით გაუწვირავთ სიციცხლე.

უკანასკნელ გულის შინაარსს იზორებს სედის მფეე — მგოსანი და ანგარიშ მიუცემლად, შორ სამყაროსკენ მიიღტვის, მაგრამ, შეუძლია კი მას გაშორდეს ამ ქვეციანს?

შეუძლია გასწვიტოს ყოველივე კავშირი მასთან?

— შეუძლია, იმიტომ რომ ვეღარც ნათესავური, ვერც მშობლიური, ვერც მეგობრული გრძობა და ვერც სატრფოს ცრემლები მას ვეღარ იქერენ.

მაგრამ მინც უბრუნდება მგოსანი დედა მიწას მასთან რჩება და იძახის: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან შვილნი სოფლისა, უნდა კიდევ მივიღოთ მას გვესმას მშობლისა. არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა გმსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

სულის მგოსანს ისევ ოფლიერი გრძობა იკავებს. მამულს, როდესაც კაცს ყველაფერი დაუთმია და სულ განწირული ამ ქვეციანს გაურბის, უკანასკნელ წუთში მას რაღაც აწუხებს, რაღაც აბრკოლებს და ნებას არ აძლევს ლტოლვისას. ეს რაღაც მგოსანის მიერ თავის ქვეციანსადმი მოვლულობის შეგნებაა.

ნიკ. ბარათაშვილის ლექსები. სული მგოლი.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას, ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას. საბრალოდ მხოლოდ სული ობლი: ძნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს, მან ტალი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული, ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული; მაგრამ ერთხელ დაობლებული სული, მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის! ეშინიან, იკრძაღვის არღა იცის, ვის აუწყოს დაჭარული მან გრძობა, ეფუქრება ხელმეორედ მის ნდობა!

ძნელი არის მარტობა სულისა: მას ელტვიან სიამენი სოფლისა, მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა, ოხერა არის შეგება უბედურისა!

სატრფოვ, მასოვს თვალნი შენნი მშვენიერი ცრემლით ჰკრთოდენ, და ბაგენი მღელვარენი ხევაშიდას მიმალვოდენ!

მაგრამ, სულო, იგი ცრემლი არ სტიროდა ამ სოფელსა; სახე შენი მოწყენილი არა ჰგავდა ხორციელსა!

აწ მიგხვდი მე, უბედური, თვალთა შენთა მეტყველებას: თურმე ცრემლი უცნაური მოელოდა ჩემს ობლობას!

ახლაც, ოდეს ვნახე სადმე ცრემლსა თვალთა მშვენიერთა, გულ ამოსკვნით ვიგონებ მე დღეთა ჩემთა ბედნიერთა! 1840.

სული ბოროტო, ვინ მოგიხმა ჩემად წინამძღვრად, ჩემი გონების და სიციცხლის შენ აღმაშფოთად? მარკვი, რა უყავ, სად წარმიდვ სულის მშვიდობა, რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოებამ?

ამას უქადლი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ-კაცობას, თითქოს მიძღვედი ამა სოფლად თავისუფლებას, ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახვედი და თვით ჯოჯოხეთს სამოთხენდა გარდამიქცევდი!

მარკვი, რა იქმნენ საკურველნი ესე აღთქმანი? რად მომიხიბლეს, აღმირიე, წარფლნი ზრახვანი? სული აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმაღლები, რატომ გაატულდა ძალი შენი მომჯადოებამ?

წყვეთილმც იყოს დღე იგი, როს შენთ აღთქმათა ბრმად მივანლობდი, ვუმხებვარბილი, ჩემი გულის თქმათა! მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა, და ვერც ლელვანი ვნებათანი მივკლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ზი მაცდურო, სული ბოროტო! რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო, კეუთი ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი? ვაა მას, ვისაც მოხედეს ხელი შენი მსახვრალი! 1843.

მირბის, მიმფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანო, უკან მომხვევის თვალ-ბედითი შავი ყორანი! გასწი, მერანო, შენს ტენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააბე წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი, გასწი, გაკურცხლე და შემომიკლე მოუთმენელსა საგარნი დღენი! ნუ შეეფარევი ჩემო მფრინავო, ნუცა სიციხესა, ნუცა ავღარსა, ნუ შემიბრალებ დაქანტულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვზორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა; ნულა ვიხილავ ჩემთა შობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ-მოუბარსა, საც დამიღამდეს იქ გამოთენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო; მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ღრთვას! გასწი, მერანო, შენს ტენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის; ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის; შავი ყორანი გამოიხრის საფლავს მდღელთა შორის ტილის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღირღით, მიწას მომპყროს!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემინ ციურნი ცვარნი, ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალავებენ სვანე მიყვარნი! გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი, თუ აქამოდ არ ემონა მას; არც აწ ემონოს შენი მხედარი!

ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია მშინადა და სიყვარული.

ნ. ბარათაშვილის მოსიყვარულე სული ბედზე ჩივილი და კაცობრიული იდეალებისკენ მიწრაფება სულ არ ეთანხმება წინანდელი დროის ქართულ პოეზიას, რომელიც მხოლოდ სილამაზესა და სიყვარულს დამდგროდა. განსაკუთრებული თვისება ნ. ბარათაშვილის პოეზიისა ისაა, რომ მისი ლექსები ისეთი აზრით და გრძობით არის დაწერილი, ისეთი ძლიერის სიტყვებითაა გამოთქმული გამოხატული, რომ ღრმა შთაბეჭდილებას სტოებს. ამიტომ, თუ სახეში მივხედვით ქართულ მწერლობის მდგომარეობას ნ. ბარათაშვილის დროს და განსაკუთრებით მაშინდელ პოეტების აზრს, პოეზიასა და მის დანიშნულებას, — მაშინ სამართლი ანა და უტყუარა კრიტიკამ უნდა აღიაროს ნ. ბ. ქარ. მწერლობის ქვეშარტ განმახლებლობა. წინანდელი პოეტების ლექსები მხოლოდ, ღვირსა და სატრფოს დასტრიალვდა თითქმის სულ-მნათი რუსთაველის შემდეგ, ვერც ერთმა ქართველმა პოეტმა ვერ შეითვისა და ვერ შეიხორცა ის აზრი, რომ პოეზია მხოლოდ სატრფო ალო და ქალის სიყვარულის გამოსაკვანათ არ არის გაჩენილი. მართალია სხვადა სხვა დროს ვარგვანი ფორმა ლექსებისა ვითარდებოდა, ლექსი ტირილს — სიცილად, აღტაცებულ აღფრთოვანებულ სიხარულს — ვედრება-აჯად გარდაქცევდა ხოლმე, მაგრამ შინაარსით, აზრით მინც ერთი და იგივე გამოდიოდა. იშვიათი იყო ისეთი მწერალი, რომელიც თავის ლექსებში, დრო-ეპის ვითარებასა და სიყვეს შეხებოდა და არც ერთს ვარდა და გურამიშვილისა, არ გაუბედია გამოიტყვა ლექსებით ცხოველი აზრი თავისი დროის ცხოვრების სხვა და სხვა საგნებზე. მამულსადაც ცხადია ასეთ მწერლობაში რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ნიჭიერ პოეტს, რომელმაც პირველად გაგნა გამსჭვალთ თვისი ლექსები დრო ეპის ცოცხალის მოტივით და გამოიტყვა მაშინდელ საუკეთესო კაცთა გუმაში, გულის ნადები და მიწრაფებანი.

ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა და შემუშავება ორიგინალურია, თავისებური. მისი ლექსები ისე ტკბილ ხმოვანია და ენერგიული რომ იმათი მსგავსი არა დაწერილა რა ქართულ ლიტერატურაში. ნ. ბარათაშვილის არ უყვარს მრავალსიტყვაობა, ამიტომ იმისი ლექსი ვარგვან ფორმით ძლიერ მოკლეთ, მოკრით გამოთქმულია და საზოგადოთ ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც ლექსნი რუსეთის დიდებულ პოეტ ლერმონტოვისა ჩვენს პოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა ძლიერი ხატულია, წერდლმანების სრულ უფურადღებობით და იმპარადვე გამოკვერული თითქო, ჩაქუჩსა სცემს მკითხველს თავში და უნდა ღრმად ჩაუსვას, ჩაავონოს თავისი აზრით.

ნ. ბარათაშვილის ლექსები ვარგვან ფორმით წლითი-წლობით უკეთესდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. უფრო მეტეორი, უფრო ენერგიული და მოკლედ მოტივით გამოდიოდა. 1845 წ. სიკვდილის წინთ, ხომ ისეთი ლექსი დაგვიწერა სულ-მნათამა, რომ თამამათ შეგვიძლია ხალხის პოეზიისა და გენიოსობის ნაწარმოებად მივიღოთ.

ილია შავგავამძე.

ნ. ბარათაშვილმა თავისი პოეტური მოღვაწეობა დიწყო ოცდა ათიან წლებში და ჩემდა სამწუხაროთ, გაათავა 1845 წ. იგიც უგალობდა სიყვარულს და ტრფი-

ალებს. ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ხდის ტრფი-ალების საგნათ ვიდრე ხორცისას...

ნ. ბარათაშვილმა განაწმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თავყანს სცემდა, ვიდრე ხორციელვდას. იგი მით იყო უფრო ძლიერი ღირი კაში ალ. ქვეციციანსა და გრ. ორბელიანზე, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძობანი, მისნი კირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე ვერძონი, ვიდრე მარტო მისი საკუთარი გულისანი. მისი კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი მიწვევნა სურვილის კაცობრიობის უღონობაა, რასაც გამოსთქვამს ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“.

ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო თავის გულში კი არა, მთელის კაცობრიობის გულში, რასაც გამოსთქვამს ლექსში „ფიქრი მტკერის პირად“.

ფიქრმა ცხოვრების ამოცებისა ადრე იჩინა თავი იმის გულში, რასაც ამბობს „ხმა იღუმალიში“. ამისთანა „იღუმალი ხმა“ ხვედრია მარტო მისი „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით პოეტი ამბობს ნაშოლონზე.

საზღვარ დადებულ სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრინობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას წყურეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი შავად მღელვარი ფიქრი! რომ დაუსრულებელი სივრცე იქნა და ქვეციანსა მოიხროს ბაირონის კანონი ამისთვის ლიუციფერი აიჩინა გეტეს ფაუსტმა — შეფესტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი „მერანი“ ესე იგი თავისი სულთქროლა.

ეს მსუსხავი და მწვევი ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრულ გულის ქარტეხილისაგან მოვლენილა, განსაკეო მიზეზი არ არის ასეთის თავგანწირულ სულის კვეთებისა და ეს სულისკვეთება განა ზოგად კაცობრიული არ არის? მაშ, მაშინ არც ბაირონის დიდებულები და ზარანი ქექა ქუხილი ყოფილა ზოგად კაცობრიული? განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის გვეთ ალესილი ქუეა დღე მუდამ ტაძარს აწუნებს რწმენისა და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმა სიღვრის მუქდრუებისა არ ითხოვს, რა და ენერგიული რომ იმათი მსგავსი არა დაწერილა რა ქართულ ლიტერატურაში.

ნ. ბარათაშვილის არ უყვარს მრავალსიტყვაობა, ამიტომ იმისი ლექსი ვარგვან ფორმით ძლიერ მოკლეთ, მოკრით გამოთქმულია და საზოგადოთ ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, როგორც ლექსნი რუსეთის დიდებულ პოეტ ლერმონტოვისა ჩვენს პოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა ძლიერი ხატულია, წერდლმანების სრულ უფურადღებობით და იმპარადვე გამოკვერული თითქო, ჩაქუჩსა სცემს მკითხველს თავში და უნდა ღრმად ჩაუსვას, ჩაავონოს თავისი აზრით.

ნ. ბარათაშვილის ლექსები ვარგვან ფორმით წლითი-წლობით უკეთესდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა. უფრო მეტეორი, უფრო ენერგიული და მოკლედ მოტივით გამოდიოდა. 1845 წ. სიკვდილის წინთ, ხომ ისეთი ლექსი დაგვიწერა სულ-მნათამა, რომ თამამათ შეგვიძლია ხალხის პოეზიისა და გენიოსობის ნაწარმოებად მივიღოთ.

ილია შავგავამძე.

ნ. ბარათაშვილმა თავისი პოეტური მოღვაწეობა დიწყო ოცდა ათიან წლებში და ჩემდა სამწუხაროთ, გაათავა 1845 წ. იგიც უგალობდა სიყვარულს და ტრფი-

8. თუხანოვნილი.

პოეზიის თუნდა უფრო კულტურული ქვეყნებისას, ძალიან იშვიათად მოუკლეს ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, როგორც იყო ბარათაშვილი. იგი იყო არამტო უდიდესი ტალანტი, არამედ იმავდროს, სინათლის სხვი იმ დროის შაბლონურ სპარსულ კილოზე გაბერილ სანტიმენტულ პოეზიის წაწარმოებთა სიბრელში შედგარი და ძლიერი ლექსი, ღრმა, როგორც ოკეანე, — მუხუბარება მებრძოლისა, რომელიც ვერ იცნო საზოგადოებამ, თავ-განწირული სიყვარული კაცობრიობისადმი — ყოველივე ეს იყო ისეთი უწყველო საოცარი რამ მე-30 და მე-40 წლების ქართულს და არა მარტო ქართულს ლიტერატურაში, რომ ადვილი წარმოსადგინა მთელი ის სიმწარით საესე ფილია, რომელიც შესვა ბოლომდე უფროთ დაღუპულმა პოეტმა, უპირველესად ყოვლისა ანციფერებს ჰველის ბარათაშვილის ზნეობრივი ფიზიონომია; თავისი დროის პირების საზოგადო ტაბთან მსგავსებით. რიგე ქარბი სულიერი ძალ-ღონე და აღმაფრენა, იგივე ცხოვრებაში იმედების ვაცრუება და გულის ვატუნა, ბირონიზმი პოეზიასა და სინამდვილეში და ბოლოსკი ნამდვილად გაშვებული ვატუნა ბრწყინვალე საზოგადოების ქარა ფუტკობით. პერორინე ბი და ლერმონტოვები მისდევდნ სამხედრო სამსახურს, რომელიც იზიდავდა მათ თავის თავ გადასავლითა და მღელვარებით, და ნ. ბარათაშვილსაც საშინლად სურდა იგივე მოღვაწეობა. არც კანცელარისა და არც საპოლიციო სამსახურს, რასაკვირველია არ შეეძლო პოეტის დაკმაყოფილება და მასაც ვაგივებით სურდა შეერთებოდა საზოგადოებას და მცხვრა ერთათ მასთან მისი ცხოვრებით. მას, რომელიც სადაც კი შედიოდა შეჰქონდა ლხენა და სიხარული. იცის ღრმად ჩაფიქრება და მოწყენა, საწუთროს წყველა და შეჩვენება. და ამას ვარდა, თავისი ძლიერი ლექსებით შკითხველს ჰგერის უსასოწარკვეთილს სევე-კეშანს. მისი პოეზია — არის უდიადესი საღმრთო პარონიული, მაგრამ მით არა ნაკლებსამელოვიარო ჰიზნი.

სოფელი.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ახალი ქართული პოეზია იმდენად გაიზარდა და შემუშავდა, რომ თავისუფლად და თამამად წამოაყენა ნიჭითა და კაცთმოყვარე გრძობებით სავსე პოეტი ნ. ბარათაშვილი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ჩვენ შიაც თავისი წესის არგე-დარე-ვით და ახალის შეუთვისებლობით რამდენიმე წაავს ვერობისას. საქართველოს ბედ-ილბალი შეიცვალა და კარგათ თუ ავათ განწყობილისა და შეთვისებული ცხოვრების ფორმები უთომობენ ადგილს ახალს, შეუჩვენებლსა და სრულიათ უცნობს პირობებს... იმ დროს უფრო ვადა. მეტებული ნაწილი საზოგადოებისა თავი სუფლათა და დაურიდებლათ მიეცა მამა-პაპათა ქონების ვაფლანგვას. იგი თავიანს სცემდა მხოლოთ სპარსეთში შემუშავებულ კულტს, ყიზილბაშურ ყოვად ქეცეასა და გართობას. ეს ნაწილი საზოგადოებისა, პოეზიაშიც ეჩვიდა თავის გამართობელსა და მდებალ გულისთქმათა შესაფერ სურათებს, ნამუს ახილსა და უაზრო მხიარულების გამოხატვას. ასეთი ხასიათის პოეზია, ქუთისა და გონების ვაფაჭიზების საქმეს — ბევრს ვერას შემატებდა... მეორე რიგი საზოგადოებისა, წარმოდგენდა მეტათ უმცირეს ნაწილს ჩვენი ქვეყნის მაშინდელ უკეთეს შვილთა სახელი წილათ ამათ ზედა. ქეყნის ამ უკეთეს შვილთა კრებულს ესპერობოდა მეტად გულწრფელი, უპატრონესი და უკეთილ შობილესი მგოსანი, რომელსაც თავისუფლათ ძალ-დაუტანებლათ და გულ-მხურვალეთ უნდა გამოეხატა, ობოლთა სულთა „მწარე ფიქრი შევად მღელვარი“. ცხოვრებამ დააკმაყოფილა კანონიერი მოთხოვნილება და დაიბადა პოეტი ნ. ბარათაშვილი, რომელიც არა თუ გრძობდა საკუთარ გულ-მეკრდში თავისი დროის გულის ცემას, არამედ იგი იყო კიდევაც ჩვენს მაშინდელ მწერლობაში ერთათ ერთი გულ-წრფელი გამომხატველი იმ ფიქრთა აზრებისა და გრძობებისა, რომელთაც სახილსავით ვაგემსკვალოთ გული საქართველოს უკეთესი შვილებისა. იგი იყო განხორციელებული გულისთქმა ამ ყმაწვილი კაცებისა მოთქმელა იმათ მარტობელობას; სულის ობლობას, უნიადაგო

3. წაჩეთელი.

რომ შევადროთ ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმი შატაბრიანისა, ბირონიისა, პუშკინისა და ლერმონტოვის რომანტიზმს, აღმოვაჩნთ, რომ შატაბრიანის გმირებს ცხოვრების მოყირპების მიერ წარმოშობილი სევედა ჰკოვს, ბირონიის ტიპები წარმოდგენენ ტიტანებს, რომელთაც, მართალია, წაწყვილდელი აქვს რწმენა, მაგრამ შეუპოვრად ებრძვიან ცხოვრებაში ვამეფებულ ტრადიციებსა და სამოქალაქო მონობას. პუშკინის ივენი ონგინისა და ლერმონტოვის პეჩორინის ცხოვრება მოყირპებული აქვს და სიკოცხლის მიზანს ვერა ჰპოვებენ. ნ. ბარათაშვილის კი, თუმცა ცხოვრების ამოება აღდევებს და აწუხებს. ყმაწვილის „ბრმა სარწმუნოება“ დაჰკარვავია, მეგობრობაც კი აღარა სწავს და სულით ობოლს უწოდებს თავს, მაგრამ იმედი მაინც გულში უღვივის, და მის პოეზიაში სულ სხვაგვარი, უმანკო, ნორჩი, ჰბატუკური, არმოყირპებული, მსასოებელი და ნუგეშმომცემელი ხმა ისმის. ეს არის ქართული რომანტიზმის ნიშნობლივი თვისება ნიკოლოზ ბარათაშვილიდან დაწყებული აკაკი წერეთლის პოეზიამდე. და, დღეს თუ რომანტიზმის დრო ვაიარა რელიური მიმართულებების ხანაში შევსდგით ფეხი, რომანტიზმი — აუცილებელი წინამორბედი ლიტერატურული სიფეხური იყო. და თუ ჩვენს თაობას რაინდული, კეთილ შობილი, ზევაზაფრენი ეროვნული და სოციალური სწრაფვა და ილიალები დანერგული აქვს გულში, წყარო, რომელმაც ეს სწრაფვანი და ილიალები წარმოშვა და აღზარდა, შოთა რუსთველის, ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვა დიდი მწერლების რომანტიზმი.

ი. გომარათელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელსაც მოწყობენ, თავიანს სცემით უნდა იხსენიებდეს ყოველი ქართველი, თუ კი მას ქართველობისა შერჩენია რამე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ის პირია, რომელი თაც უნდა ამაყობდეს ყოველი ქართველი, ვისაც კი ესმის, თუ რა არის ეროვნული სიამაყე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელიც ძლიერის სისპეტაკის სხივით ანათებს ჩვენს შავზნელ ცხოვრებას და ყოველ ქართველს, რომელსაც კი თავისი სამშობლოს სევედი აფიქრებს, აღონებს უიღურესი სასოწარკვეთილობის დროსაც კი ახწნეებს და გულს იმედით უხეებს. — და მართლაც უგულო, უშულო, უკულტურო ერი ნიკოლოზ ბარათაშვილს ვერ წარმოშობს, ამისთანა შვილები მხოლოდ დიდ-მუნებოვან, დიდ-სულოვან და მალალი კულტურის ვრელია ჰყავთ... საქართველოს პოლიტიკურათ სიკვდილმა პოეტს თვალწინ დაუყენა კითხვა მულის ყოფნა-არ ყოფნისა. ეს კითხვა მთელის თავისი სიძნელე-საშინელებით პოეტის წინ იყო ამართული და რამდენათაც უფრო ძნელი იყო კითხვის ვადაწყვეტა, იმდენათ ღრმა იყო ბარათაშვილის სევედა და სულიერი ტანჯვა. როდესაც ქველი სოლომონი ეუბნება ირაკლის — რომ ქართველებს არად მიაჩნის უბედურება, თუ აქეთ თვის ქერქვეშ თავისუფლება, ეს სიტყვები ნიკ. ბარათაშვილის სიტყვებია,

მაგრამ არ გვენოთ, რომ პოეტის იდეალი წარსული იყოს. არა პოეტი უპირატესობას აძლევს მშვიდ მოქალაქეობრივ ცხოვრებას და სწავლა განათლებას; მაგრამ წარსულში არის ის, ურომლისოთაც სამშობლოს დიდება და ბედნიერება პოეტს ვერ წარმოუდგენია, სამშობლოს უბედურებით გამოწვეული, პოეტის ფილოსოფიური პესიმიზმით ვა-

ნაყოფიერებული და იმის გრძობიარე გულში ვაღვივებული სევედა თან და თან გადიქცევა მსოფლიო მწუხარებათ და ბარათაშვილის ნიჭის სილიადეც სწორეთ აქ აშკარადება: ეროვნულს ნიადაგზე მან შეჰქმნა მსოფლიო სეველით, საკაცობრიო გრძობებით ვაგველული პოეზია, ნ. ბარათაშვილის ტანჯვა მთელი საქართველოს ტანჯვაა. პოეტის გულის კენესა მთელის საქართველოს გულის კენესაა. ბარათაშვილის სევედა მთელი საქართველოს სევედაა, პოეტის ობლობა და მარტობა მთელი საქართველოს ობლობა და მარტობაა. პოეტის შავი ფიქრები მთელი საქართველოს შავი ფიქრებია. ბარათაშვილის სულიერი დრამა — მთელი ჩვენი მამულის სულიერი დრამაა

ბარათაშვილი გულია საქართველოსი. საქართველოს უნუგეშობამ, ქართველი ხალხის სულის კვეთებამ, გულის კენესამ და სევედამ ბარათაშვილში ჰპოვეს თავისი ნამდვილი გამოხატულება. და დღეს საქართველოს ვაწყენებულ იდეის რომ შეეძლოს ჩვეულებრივის ადა მიანურის ენით დალაპარაკება, იმავე სევედას, იმავე ამოებას, იმავე ობლობას, იმავე განწირულ სულის კვეთებას, იმავე გულის კენესას მოვეთხრობდა, რითიც ვამქვალულია ბარათაშვილის პოეზია. ბარათაშვილის სევედა დღესაც შავი ზეწარივით ვადაჰფარებია რვენს ბედ-კრულ სამშობლოს. ნუ თუ არასოდეს არ ვაიფრტება ის? ნუ თუ არასოდეს არ შეიცვლება ბედნიერი ქართველი კრი მხიარულ სიმღერათ?!

ნ. ბარათაშვილს

(მისი ნეშტის ვადმოსვენების ვამო).
რადეც ვერი თვის აწმეთით ვამწარებუა.
იგლოდა წანსულს, გულ-დამწვარი შექნებუა;
და-ვით ცხერის-ფარა უმარტონით დატეგეუა
ეჩებუდა კვდეს და ღრეს, გზა დახრეუა,
მამულს შეიღვი კი „ლოთებო ნეტავი ჩვენს“,
გაძახდენენ: „მოგვევა დღეს შეგა ლხენა“
და არ ნადგობდენ არც სამშობლოს ახრებულს,
არც ვეს მწუხარეს, ცხრე ცრემლით ატირებულს,
მამინ გაისმა შენი მწარე კენესა, მგისანო,
სუღით უმანკო, გულით წრფელი, ჰატეოსანო,
გაისმა შენი სეველიან ოხვრა ნივლი,
გრძობით ადვილი, ნადგოვანი მოთქმა ტირილი!..
შენ დასტირდი „ბედს ქართლისას“,
გულ-გატეხელის მეფის რჩეულს,
შენ დასტირდი „ტაძრის წმინდას“,
უდაბნოდ მდგარს გაუქმებულს.“
შენ დასტირდი „ცხვარებან ფუქსა“,
ამოებანს წუთის სიფელისას“
„სემულს მოგეგულს, სამშობლოს, გულს“
„და მარტობას სუღის ობლისას!“
შენ დასტირდი ევედა ამს და ბევრს სხვასაც,
მაგრამ ვერ იყო აქ ქეყნას და იქ მადღაც!
და შენ ობლია ობლად მთავდი უცხო მსარეში!
და შენი კენეს ჩაგევა მთადღად ცეც სამარეში!
შენ მოკვდი, მაგრამ გზა უდაღ შენგან თედაღ,
სამედა-შეიღად მისგონრად არის მოყნიდი,
და აპა დაღა დრო. სავამ დრო, როცა ქართველს
ესმის ტანჯულის შენის სუღის ოხვრა და კენესა,
როცა იდეაქებს, და მოძრაობს შენი სამშობლო,
უსრუნველობას ძეგლებურს კლება ბოლო,
და მთელი ერი ვამსკვადეს დღეს გრძობას ერთსა
და შოისწრაფვის თაყვანი სტეს შენს ძვირფას ფერფლას
და დავამეადრდს სევერულს შენს მამულში,
რომ მარად მასთან აქნე ჰერში და სიხარულში!
რომ ვითა სუღით სეველათაც მას შეუერთდევ
და, მასთან შეოფი, მის ტეფიდეებს უსამუნებდე!..

ალმოსავლეთის ასპარეზი. გერმანელთა მ რაზმმა ვარსკვლავი შემოტევა იწყო, მაგრამ რუსებმა ზარბაზნების სროლით ვამეკრეს. კარბაზებში რუსებმა რამდენიმე მალლობი დაიპყრეს. კარბაზასთან რუსები შეტევის ვანავრდობენ და კარბაზას უახლოვდებიან. კავკასიის ასპარეზი. ვანის მიმართულებით ოსმალებმა გვიჩ იცვალეს და ვარტასკენ წავიდენ. საკიზთან რუსებმა ოსმალების სურსათი იგდეს ხელთ. რუმინის ასპარეზი. ზომიციდან ბუქარესტსაკენ ვალაშკრებულმა გერმანელ ბულგარელთა ჯარმა კვლავ წინ წაიწია და კავკასიი იღო. დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.

ყურნალ-გაზეთებიდან.

ალმოსავლეთ ასპარეზზე ეს ერთი წელიწადია ქალაქი კოველი განსაკუთრებულ როლს თამაშობს. რუსის ჩვეულებრივი სამაზრო ქალაქი გერმანელ ინჟინერების მეკადნიერების წყალობით პირველ ხარისხიან ციხედ იქცა იგი, წელიწად ნახევრის ვანავლობაში ვამუღმებულ ვამაგრების შემდეგ მიუვალ ციხეს წარმოადგენს. კოველი ამ ჟამად პრინც ლეოპოლდის ჯარის ჩრდილოეთის მხრიდან ჰეფარეს კოველის წინ რამდენიმე წყება ღრმა თხრილები ციხის საუკეთესო საფარს წარმოადგენს. ალაგალავ ეს თხრილები ბეტონისა და ფოლადის კაზემატებით არის შემკული. სანგრების ზურგს უმაგრებს აუარებელი შორს მსროლელი ზარბაზნები. სანგრების წინ მთელი ველი ათასნაირად ვადახლართულ ეკლიან მავთულის კედლებით არის დაცული და პირველ სა-

კარბებისათნავე მავთულში ე-ექტრონის ძალის ვაშვება შეიძლება. შიგ მავთულის ხლორებში აქა იქ ამოთხრილია ღრმა ორმოები, რომელთა მსკრზე მწვეტიანი ფოლადის კეტები დარკობილი. მშვიდობიანი მსხვერპნი ვამეველური არიან და მთელი ქალაქი ნამდვილ სამხედრო ბანაკად არის ქვეული. — ვაზ. „ტელეგრაფის“ ცნობით I დეკემბერს იმპერატორი ვილჰელმი გერმანიის, ავსტრიისა და პოლონეთის ჯარების მთავარსარდლად იქნება ვამოცხადებული. — გერმანული ვაზეთები ირწუნებიათ, რომ გერმანიის ერთი წლის ვანავლობაში მხოლოდ 10 საფრენი დღეუბათ. — სტოკჰოლმიდან მოსულ ცნობის მიხედვით გერმანელს ზარდა აქეთ ავსტრიაში და პოლონეთში გერმანელი დიქტატორები დანიშნან. — ბუქარესტის მიდამოებში მოკავშირეებს აუარებელი ჯარისათვის მოუყრიათ თავი და სხვათა შორის ამითა ხნიან სამხედრო ავტორიტეტები, რომ გერმანელმა პირდაპირ არ ვაილაშკრეს და ნაწილ-ნაწილ დაიპყრეს რუმინეთის მიწა წყალი. — ს. დიმიტრევი „დენ“-ში სწერს: რუმინეთის ჯარის თავისუფლი უკან დახევა და ვადარჩენა, მხოლოდ შემთხვევით თუ დაბრკოლდება, თორემ მომწყვედვის არავითარი საფრთხე არ მოელის მასთ.

— ალმოსავლეთის ასპარეზის შესახებ სამხედრო ავტორიტეტები შემდეგ აზრს ვამოსთქვამენ: გერმანელთა იერიშები, რომლებიც მათ რიგის ყურედან დაწყებული ტყიდან კარბაზებამდე მთელ ბრძოლის პირზე დროვამოშვებით მოაქეთ დიდი ყურადღების ღირსი არ არის და მხოლოდ დემონსტრატული ხასიათი აქვს. კარბაზას მითიდან დოჰრჩანამდე 300 ვერსტის ბრძოლის პირზე რუსებმა დიწყეს შეტევა, რომლის დანიშნულებაც ვენ. ფალკენჰაინის ჯარის შეჩერებაა.

მსოფლიო ომი.

დ ე ე ე ე ე ე ე.
(პეტ. დეპ. სავ.)
ქვალღმ მთავარსარდ. შტაინსბან. 18 ნოემბერი.
კაბრეზა დი. დასავლეთის ასპარეზი. ს. პერელიანკის მიდამოებში, სმოროვის ჩრდილო-დასავლეთით, მოპირდაპირის მკორე რაზმში შეეკადნენ შემოტევის მაგრამ ისე თავის თხრილებისაკენ ვაგამრუნეთ ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის მ რაზმი ვაგანტა, რომელიც მოიმართებოდა გოროდშიდან ალმოსავლეთით. კარბაზებში დავიჭირეთ მალლობები რუა-რუკდა, ვაკარჯის სამხრეთ-ალმოსავლეთით 11 ვერსზე. აქ ხელთ ვიგდეთ 900 გერმანელი და 3 ტყვისმფრქვეველი კარბაზას ალმოსავლეთ მალობების მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. ორ დღეში აქ ხელთ ვიგდეთ 900 ტყვი, 13 ტყვის მფრქვეველი, 2 ყუმბარის მტყორცნილი, 1 ნაღმისმტყორცნილი და 2 პრეტექტორი. კარბაზას თოვლებს ვუშენთ. კავკასიის ასპარეზი. ვანის მიმართულებით მიმავლი მტრის რაზმი, ღამის უშედეგო შემოტევის შემდეგ, ვარტასკენ მიბრუნდა. საკიზით მიდამოებში ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო ხორბლითი დატვირთული ოსმალების 47 საქონელი. რუმინის ასპარეზი. დუნაიდან ბუქარესტსაკენ მიმავალ გზაზე, მოპირდაპირემ იერიში მიიტანა რუმინელებზე ზომიციისთან, კოლუგურესთან, პომანიან და საღამოზე იღო კომანიი. დობრუჯაში ცელიობა არ მომხდარა. 17 ნოემბერი. ბუქარესტი. რუმინელების მთავარ ბანაკის ოფ. ცნობა, 16 გოროგონითვის

ნ. ბარათაშვილს.

შენით ამაყობს შენი სამშობლო,
შენით ამაყობს ქართველი ერი,
შენს დიად სახელს ქება დიდებით
გისხენიებს დღეს მთელი ივერი!
ვილოდი სოფლად კეშნიანი,
სულთა ობოლი და გულ ზვიადი,
და ჩვენი ყოფნის ბნელ სამყაროში
მედგრად ვამფრტე ბნელი, წყვილიად.
თუმც ვვიან გიცენეს დილო მკოსანო,
რომ შენს ლექსებსა ჰყავებარ ცამდე,
დეე აწ მინც შენი სახელი
იყოს უკვდავი უკუნისამდე!

ლუბო მისკალი.

3. ილიაშვილი.

